«ო, ჩემო მონებო, ჭეშმარიტად, მე საკუთარ თავს დავუშალე უსამართლობა და გავხადე ის აკრძალული თქვენ შორის, ამიტომ ნუ ჩაგრავთ ერთმანეთს

გდმოცემულია აბუ ზარრისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გადმოსცემს, რომ ალლაჰმა, ყოვლადმოწყალემ და უზენაესმა, თქვა: «ო, ჩემო მონებო, ჭეშმარიტად, მე საკუთარ თავს დავუშალე უსამართლობა და გავხადე ის აკრძალული თქვენ შორის, ამიტომ ნუ ჩაგრავთ ერთმანეთს! ო, ჩემო მონებო, ყველა თქვენგანი იყო გზააბნეული, გარდა იმათი, ვისაც მე ვაჩვენე სწორი გზა, ამიტომ სთხოვეთ ჩემგან სწორი გზა და მე გაჩვენებთ მას! ო, ჩემო მონებო, ყველა თქვენგანი დარჩება მშიერი, გარდა იმათი, ვისაც მე დავაპურებ, ამიტომ სთხოვეთ ჩემგან საჭმელი და მე გაჭმევთ! ო, ჩემო მონებო, ყველა თქვენგანი დარჩება შიშველი, გარდა იმათი, ვისაც მე ჩავაცვამ, ამიტომ სთხოვეთ ჩემგან ტანსაცმელი და მე ჩაგაცვამთ! ო, ჩემო მონებო, ჭეშმარიტად, თქვენ სცოდავთ დღე-ღამის განმავლობაში, მაგრამ მე ვპატიობ ყველა ცოდვას, ამიტომ ითხოვეთ ჩემგან პატიება და მე გაპატიებთ! ო, ჩემო მონებო, თქვენ ვერასდროს შეძლებთ, რომ რაიმე ზიანი მომაყენოთ ან სარგებელი მომიტანოთ! ო, ჩემო მონებო, თუ თქვენგან პირველნი და უკანასკნელნი, ადამიანები და ჯინები, იქნებოდით ისეთივე ღვთისმოსავები, როგორიც ყველაზე ღვთისმოსავი ადამიანია, ეს არაფერს შემმატებდა იმასთან შედარებით, რასაც მე ვფლობ! ო, ჩემო მონებო, თუ თქვენგან პირველნი და უკანასკნელნი, ადამიანები და ჯინები, იქნებოდით ისეთივე ცოდვილები, როგორიც ყველაზე დიდი ცოდვილია, ეს არაფერს დამაკლებდა იმასთან შედარებით, რასაც მე ვფლობ! ო, ჩემო მონებო, თუ პირველნი და უკანასკნელნი, ადამიანები და ჯინები, ერთ ადგილას დადგებოდით და ჩემგან რაიმეს მოითხოვდით, და მე თითოეულ თქვენგანს მივცემდი იმას, რასაც ითხოვდით, ეს ისე ვერ შეამცირებდა ჩემს სიმდიდრეს, როგორც ნემსი, წყალში ჩაძირული, ვერ ამცირებს ზღვის წყალს! ო, ჩემო მონებო, ჭეშმარიტად, ეს მხოლოდ თქვენი საქმეებია, რომლებსაც მე ვანგარიშობ თქვენთვის და მერე სრულად დაგაჯილდოვებთ მათთვის. ამიტომ, ვინც პოვებს სიკეთეს, განადიდოს ალლაჰი, ხოლო ვინც პოვებს რამე სხვას, ნუ დააბრალებს ნურავის, გარდა საკუთარი თავისა».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ამ ჰადისში შუამავალი განმარტავს, რომ უზენაესმა ალლაჰმა აუკრძალა საკუთარ თავს უსამართლობა და აკრძალა უსამართლობა მის მონებს შორის, და არავის აქვს უფლება სხვა დაჩაგროს. ყველა ადამიანი გზააბნეულია ჭეშმარიტების გზიდან, გარდა მათისა, ვინც ალლაჰმა დაარიგა და ვისაც მან დახმარება გაუწია. ვინც ალლაჰისგან ითხოვს ჭეშმარიტ გზაზე დადგომას, ალლაჰი მას დაარიგებს და სწორი გზისკენ მიმართავს. ყველა ადამიანი ღარიბია ალლაჰის წინაშე და საჭიროებს მას ყველა თავიანთ საჭიროებაში. ვინც სთხოვს ალლაჰს, ის ასრულებს მის თხოვნას და გაათავისუფლებს მას გაჭირვებისგან. და რომ ისინი სცოდავენ დღითა და ღამით,

ხოლო უზენაესი ალლაჰი ფარავს მათ ცოდვებს და პატიობს მათ, როცა ისინი ინანიებენ. და რომ მათ ვერავის შეუძლია, რომ ზიანი მიაყენოს ალლაჰს ან დაეხმაროს მას. და ისინი ყველა რომ ყოფილიყვნენ ყველაზე ღვთისმოსავი კაცის მსგავსნი, ეს არ შეამატებდა ვერაფერს ალლაჰის სამეფოს, და ასევე, თუნდაც ყველა მათგანი ყოფილიყო ცოდვილი, როგორც ყველაზე ცოდვილი ადამიანის გული, მათი ცოდვილობა ვერაფერს დააკლებდა მის ბრძანებლობას, რადგან ისინი სუსტები და ღარიბები არიან ალლაჰის წინაშე, და ყოველთვის, ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ ვითარებაში საჭიროებენ ალლაჰს. ხოლო ის ყოვლადწმინდა და ყოვლადმდიდარია. თუ ყველა, პირველი და უკანასკნელი ადამიანები და ჯინები ერთად შეიკრიბებოდნენ ერთ ადგილას და ალლაჰს სთხოვდნენ ყველაფერს, რაც სურთ, და ის მათ ყველაფერს მიანიჭებდა, ეს არანაირად არ შეამცირებდა მის სიმდიდრეს. ეს ჰგავს იმას, როგორც თუკი ნემს ჩაასობენ ზღვაში და შემდეგ ამოიღებენ, ზღვა ამით არაფრით არ შემცირდება. ეს მიუთითებს მისი სამეფოს სიმდიდრისკენ. ყოვლისშემძლე ალლაჰი ინახავს თავის მონათა საქმეებს და ითვლის მათ, ხოლო შემდეგ მათ აუნაზღაურებს ამისთვის აღდგომის დღეს. ვინც აღმოაჩენს, რომ მისი საქმეების ანაზღაურება კეთილია, მადლობა უნდა შესწიროს ალლაჰს, რომ მან მისცა შესაძლებლობა ემორჩილებოდნენ მას. ხოლო ვინც აღმოაჩენს, რომ მისი საქმეების ანაზღაურება სხვაა, დაე, დაადანაშაულოს მხოლოდ საკუთარი სული, რომელიც ბოროტებისკენ უბიძგებდა.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/4810

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee